



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-3823212205**
 თარიღი: **31/07/2023**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

2023 წლის 10 იანვრის №01/12 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ რუსთავში მდებარე მიწის ნაკვეთზე **(ს/კ:02.04.03.719)** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთან, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის- გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად საკადასტრო ერთეული **(ს/კ:02.04.03.719)** მდებარეობს **(საპროექტო) (შზ 2) სექტორი 2.**

დადგენილების დანართი 3-ის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ცენტრის ზონა (შზ 2) ცენტრის ზონა წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული ზონის ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. ცენტრის ზონა (შზ 2) იყოფა ორ სექტორად: ა) სექტორი 1 (შზ-2) ბ) სექტორი 2 (შზ-2).

სექტორი 2 (შზ-2) ნებადართული სახეობებია: მრავალფუნქციური შენობა; სასტუმრო; სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები; კვების და საოფისე ობიექტები; მომსახურების ობიექტები, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტებისა; ადმინისტრაციული ობიექტები; გასართობი დაწესებულებები რომლის დანიშნულებაა მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა; რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი.

განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 600მ², ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე აუცილებელია მომზადდეს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსი“-ს 41-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმა. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ივლისის N155 დადგენილებით აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას მიწის ნაკვეთის **(ს/კ:02.04.03.719)** სიბ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხსენებული უძრავი ქონება წარმოადგენს ნაწილობრივ დაგეგმარებულ ტერიტორიას, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს უძრავი ქონების **(ს/კ:02.04.03.719)** პრივატიზების პროცედურები იმ შემთხვევაში თუ გათვალისწინებული იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნები მათ შორის პარკინგი, მისასვლელი გზები და ა.შ.

დანართი: (PDF) ფაილი,

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ

